



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
2021 წლის 07 ივნისის  
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია  
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.11  
სხდომის დაწყების დრო: 17:30

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე და ციციწო ცხვედიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ გოჩა უღრელიძის, თამარ გუგუშვილის, ირაკლი ზარანდიას, თამარ ლლონტის, სალომე ვეფხვაძის, ნინა ინასარიძის, ქეთი თოშხუას, თამარ მაღლაკელიძის, ნიკა დევსურაშვილის, დიმიტრი ჩხიტუნძის, ზურაბ გელაშვილის, სალომე ჭანიას, ლადო ბატიაშვილის, მირანდა კვარაცხელიას, ლია კვარაცხელიას, მაგდა მარგიანის, თამარ ხომასურიძის, ნინო ლობჯანიძის, ნინო ხაჩალიას, ანა ჯანუყაშვილის, სოფიო ხაფავას, ლიკა მეტრეველის, ნინო კაპანაძის, ცისია კობხიძის, თამთა თინაშვილის, დალი თუშიშვილის, გიორგი ჯმუხაძის, მარიამ პირველის, სოფიო პაპასქირის, ეკა ვასაძის, ალექსანდრე მეგრელიშვილის, ხათუნა ალავიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გოჩა უღრელიძის, თამარ გუგუშვილის, ირაკლი ზარანდიას, თამარ ლლონტის, სალომე ვეფხვაძის, ნინა ინასარიძის, ქეთი თოშხუას, თამარ მაღლაკელიძის, ნიკა დევსურაშვილის, დიმიტრი ჩხიტუნძის, ზურაბ გელაშვილის, სალომე ჭანას, ლადო ბატიაშვილის, მირანდა კვარაცხელიას, ღია კვარაცხელიას, მაგდა მარგიანის, თამარ ხომასურიძის, ნინო ლობჯანიძის, ნინო ხაჯალიას, ანა ჯანუყაშვილის, სოფიო ხაფავას, ლიკა მეტრეველის, ნინო კაპანაძის, ცისია კობხეიძის, თამთა თინაშვილის, დალი თუშიშვილის, გიორგი ჯმუხაძის, მარიამ პირველის, სოფიო პაპასქირის, ეკა ვასაძის, ალექსანდრე მეგრელიშვილის, ხათუნა ალავიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ქრისტინე კაჭარავას, ლევან კომლაძის, გიორგი გელაშვილის, დავით წულაიას, დავით ძნელაძის, ნოდარ ძნელაძის, აკაკი ჯანელიძის, ზურაბ ხეცურიანის, ზურაბ ელიაშვილის, ბესიკ ნარმანიას და ლელა აბაშმაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ქრისტინე კაჭარავას, ლევან კომლაძის, გიორგი გელაშვილის, დავით წულაიას, დავით ძნელაძის, ნოდარ ძნელაძის, აკაკი ჯანელიძის, ზურაბ ხეცურიანის, ზურაბ ელიაშვილის, ბესიკ ნარმანიას და ლელა აბაშმაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მარიამ თაბაგარის, აშხანა ქაქუთიას, გელა ბოჭორიშვილის და 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - ქეთევან ჩეჩელაშვილი, მერაბ კობაჩიშვილის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2021 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე

პირებს - ქეთევან ჩეჩელაშვილს და მერაბ კობაჩიშვილს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

**საკითხი 4.** ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) გვანცა ჩიკვილაძის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით სამოქალაქო სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გვანცა ჩიკვილაძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სამოქალაქო სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას გვანცა ჩიკვილაძის კანდიდატურა ასოციაციის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

(ბ) ალექსანდრე სვანიძის და ლაშა საათაშვილის განცხადებებს თანდართული ბიოგრაფიით საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ალექსანდრე სვანიძის და ლაშა საათაშვილის განცხადებები ადვოკატთა ასოციაციის საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების თაობაზე. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

**საკითხი 5.** ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ვახტანგ ჯავახიას, არჩილ ცერცვაძის, ცირა ქეცაიას, თამარ გაბადაძის, ირაკლი ფიფიას, ლევან სანიკიძის, მანანა ბაფერიძის, ირაკლი ჯაფარიძის, ედიშერ

ქარჩავას, მერაბ წკრიალაშვილის, ვლადიმერ ქუთათელაძის, დავით კიკალეიშვილის და გია აბაშიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებდნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ვახტანგ ჯავახიას, არჩილ ცერცვაძის, ცირა ქეცბაიას, თამარ გაბადაძის, ირაკლი ფიფიას, ლევან სანიკიძის, მანანა ბაფერიძის, ირაკლი ჯაფარიძის, ედიშერ ქარჩავას, მერაბ წკრიალაშვილის, ვლადიმერ ქუთათელაძის, დავით კიკალეიშვილის და გია აბაშიძის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 6.** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ცნობად მიღება და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის 2019 წლის 22 ივლისის (რეგისტრაციის N18606) განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ნატო გოგმაჩაძის 2019 წლის 22 ივლისის (რეგისტრაციის N18606) განცხადების განხილვა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, განმცხადებელ ნატო გოგმაჩაძეს, როგორც ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირს, სხდომაზე საკუთარი პოზიციის წარდგენის მიზნით, 2021 წლის 2 ივნისს, ელ. ფოსტის საშუალებით წინასწარ ეცნობა აღმასრულებელი საბჭოს სხდომის თარიღი და დრო.

განმცხადებელი ნატო გოგმაჩაძე ელექტრონული პლატფორმის საშუალებით დისტანციურად ჩაერთო აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე და დააფიქსირა

საკუთარი პოზიცია მის 2019 წლის 22 ივლისის (რეგისტრაციის N18606) განცხადებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე განმცხადებელმა დეტალურად ისაუბრა მისი განცხადების წინაპირობებზე და დამატებით განმარტა 2019 წლის 22 ივლისის განცხადებაში მითითებული გარემოებები, რის შემდეგაც ჩამოაყალიბა სამი ძირითადი მოთხოვნა:

- (1) შეფასდეს ადვოკატთა ასოციაციის აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის 2019 წლის 22 ივლისის ჩატარებული სხდომის მოწვევისა და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების (აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის 2019 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმი) კანონიერების საკითხი, სხდომის მოწვევის მიზეზის გათვალისწინებით (ნატო გოგმაჩაძის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებები);
- (2) შეფასდეს ზაზა პაპიძის, როგორც აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ქმედებების კანონიერების საკითხი (ზაზა პაპიძის სატელეფონო ზარი ნატო გოგმაჩაძესთან საჯარო სივრცეში გაკეთებული კომენტარის წაშლასთან და კომიტეტის წევრობის დატოვებასთან დაკავშირებით);
- (3) ზაზა პაპიძე გათავისუფლდეს, აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

**აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა სკრუპულოზურად განიხილეს ნატო გოგმაჩაძის 22.07.2019 წლის განცხადება (რეგისტრაციის N18606), მასში მითითებულ გარემოებები და განმცხადებლის არგუმენტები. ასევე, დეტალურად გაეცნენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რის შედეგადაც ირკვევა შემდეგი:**

(ა) ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს მომართა აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარემ და წარმოადგინა კომიტეტის 2019 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმი, რომლითაც აღმასრულებელ საბჭოს თხოვდა განეხილა ამავე კომიტეტის წევრის ნატო გოგმაჩაძის კომიტეტის წევრობის შეწყვეტის საკითხი;

(ბ) 2019 წლის 09 სექტემბერს, აჭარის რეგიონულმა კომიტეტის თავმჯდომარემ დამატებით მომართა აღმასრულებელ საბჭოს და მოითხოვა რეგიონული კომიტეტის ზემოაღნიშნული სხდომის ოქმში მითითებული საკითხის (ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის კომიტეტის შემადგენლობიდან გამოწვევის თაობაზე) განუხილველად (რეაგირების გარეშე) დატოვება;

(გ) 2019 წლის 10 სექტემბერს, ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ, განიხილა აჭარის რეგიონული კომიტეტის 22.07.2019 წლის სხდომის ოქმი, აჭარის

რეგიონული კომიტეტის 09.09.2019 წლის მომართვა და საკითხთან დაკავშირებული ნატო გოგმაჩაძის განცხადებები და მიიღო გადაწყვეტილება საკითხის განუხილველად დატოვებისა და დღის წესრიგიდან მოხსნის თაობაზე. აღმასრულებმა საბჭომ, გადაწყვეტილების მიღებისას, იხელმძღვანელა იმ გარემოებით, რომ თავად საკითხის ინიციატორის (აჭარის რეგიონული კომიტეტი) მხრიდან, მოთხოვნილი იყო ნატო გოგმაჩაძის კომიტეტის შემადგენლობიდან გამოწვევის საკითხის განუხილველად დატოვება. ამასთან, მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ოქმი, რომელიც მიღებული იქნა რეგიონული კომიტეტის მიერ (რომელიც ასოციაციის სტრუქტურული დანაყოფია და არა ცალკე სუბიექტი) არ წარმოადგენს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომელსაც რაიმე იურიდიული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა, რადგანაც სამართლებრივი შედეგის გამომწვევი ინდაქტის გამოცემის უფლებამოსილება მხოლოდ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციაა. შესაბამისდ, ნატო გოგმაჩაძის მიმართ არ ყოფილა მიღებული ისეთი ტიპის გადაწყვეტილება რომელიც მისთვის რაიმე სამართლებრივი შედეგის მომატნი იქნებოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ მას არ შეზღუდვია რაიმე უფლება და არც ზიანი მიდგომია მის კანონიერ ინტერესებს.

უპირველესად, წევრებმა აღნიშნეს, რომ ადვოკატის, სხვა მოქალაქეების მსგავსად, გამოხატვის თავისუფლება დაცულია კონსტიტუციითა და კანონით. დაცული სფერო ასევე მოიცავს საჯაროდ, სოციალური მედიის საშუალებით გაკეთებულ განცხადებებსაც. აღნიშნული უფლება ასევე განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებში **„ადვოკატთა როლის შესახებ“**. აღნიშნული საერთაშორისო ინსტრუმენტის შესაბამისი დებულების მიხედვით: *„ადვოკატებს უფლება აქვთ მონაწილეობდნენ საჯარო დისკუსიებში ისეთ თემებზე, რომლებიც უკავშირდება მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებს“*. ამასთან, გამოხატვის *„ამ უფლებით სარგებლობისას, ადვოკატებმა ყოველთვის უნდა იმოქმედონ იურიდიული პროფესიის აღიარებული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების შესაბამისად.“* (გაეროს პრინციპები **„ადვოკატთა როლის შესახებ“**, მუხლი 23).

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა ასევე აღნიშნეს, რომ ასოციაცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად, **„ადვოკატთა შესახებ“** კანონის 23-ე მუხლის, მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა ასოციაციის **წესდების მე-16<sup>1</sup>** მუხლის საფუძველზე ქმნის სტრუქტურულ დანაყოფებს - კომიტეტებსა და კომისიებს (მათ შორის რეგიონულ

დონეზე), რომელთა საქმიანობის წესი განსაზღვრულია შესაბამისი კომიტეტების/კომისიების დებულებებით.

აღმასრულებელი საბჭოს მიერ 22.01.2018 წელს დამტკიცებული „ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის“ დებულების მე-2 მუხლის მიხედვით: *„კომიტეტის მიზანია საქართველოში მოღვაწე ადვოკატთა პროფესიული უფლებების ეფექტიანი დაცვა მოქალაქეთა ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველსაყოფად.“*

ამავე დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულია კომიტეტის მიერ სხდომების ჩატარების წესი. კერძოდ, „კომიტეტის სხდომა მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი განისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.“ (დებულების 5.1. პუნქტი).

ზემოაღნიშნული დებულების მიხედვით, რეგიონული კომიტეტის წევრის ვადამდე ადრე გამოწვევის საკითხი განეკუთვნება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას. კერძოდ, დებულების 4.6. პუნქტის მიხედვით: *„კომიტეტის წევრი შეიძლება ვადამდე იქნას გაწვეული კომიტეტის შემადგენლობიდან აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე.“*

ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის 22.07.2019 წლის განცხადების განხილვასას, აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარეს გააჩნდა უფლებამოსილება მოეწვია კომიტეტის სხდომა (დებულების 5.1. პუნქტი) და ასევე, მიემართა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსათვის კომიტეტის წევრის კომიტეტის შემადგენლობიდან ვადამდე ადრე გამოწვევის თაობაზე (დებულების 4.6. პუნქტი). ამასთან, აღინიშნა, რომ ადვოკატის განცხადებების, მათ შორის სოციალურ ქსელებში გაკეთებული კომენტარების, ადვოკატთა პროფესიული ქცევის ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხის შეფასების უფლებამოსილება არ გააჩნია ასოციაციის არც ერთ ორგანოს, გარდა ასოციაციის ეთიკის კომისიისა.

წევრებმა ასევე განმარტეს, რომ ასოციაციის კომიტეტის თავმჯდომარის თუ ასოციაციის ნებისმიერი სხვა წევრის ქმედების შეფასება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ორ ადვოკატს შორის ურთიერთობისა (კომუნიკაციის)



კანონიერებისა თუ ეთიკურობის საკითხს, არ განეკუთვნება აღმასრულებელი საბჭოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

ამასთან, აღინიშნა, რომ რეგიონული კომიტეტების თავმჯდომარის პოზიციაზე პირის დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას (დებულების 4.2. პუნქტი) და შესაბამისად, აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის გათავისუფლების მოთხოვნა არ იქნა მიჩნეული დასაბუთებულად და მიზანშეწონილად.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნატო გოგმაჩაძის 22.07.2019 წლის განცხადების (რეგისტრაციის N18606) განხილვის შედეგად, ღია კენჭისყრით, ერთხმად, იქნა მიღებულ შემდეგი გადაწყვეტილებები:**

1. ცნობად იქნას მიღებული და აღსრულდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.02.2021 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (საქმის N3/7883-19), მოპასუხე სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიმართ. მოსარჩელე ნატო გოგმაჩაძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის რეკვიზიტების შესაბამისად;
2. ნატო გოგმაჩაძის 22.07.2019 წლის განცხადებაში (რეგისტრაციის N18606) მითითებული და სხდომაზე დაზუსტებული მოთხოვნა - აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის 22.07.2019 წლის სხდომის მოწვევისა და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასების თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს, უსაფუძვლოების გამო;
3. ნატო გოგმაჩაძის 22.07.2019 წლის განცხადებაში (რეგისტრაციის N18606) მითითებული და სხდომაზე დაზუსტებული მოთხოვნა - აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა პაპიძის ქმედებების კანონიერების შეფასების თაობაზე, არ განეკუთვნება აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილების საკითხს და არ უნდა დაკმაყოფილდეს;
4. ნატო გოგმაჩაძის 22.07.2019 წლის განცხადებაში (რეგისტრაციის N18606) მითითებული და სხდომაზე დაზუსტებული მოთხოვნა - აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა პაპიძის

თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, მიზანშეუწონლობისა და დაუსაბუთებლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს;

5. ეცნობოს განმცხადებელს გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

## **საკითხი 7. სხვადასხვა**

წევრები გაეცნენ:

(ა) სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადაპტაციის პროგრამის დებულებაში შესატანი ცვლილებების პაკეტს.

წევრები გაეცნენ ასოციაციის „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 10.5 პუნქტში შესატანი ცვლილების პროექტს, რომელიც წარმოადგინა სასწავლო ცენტრის დირექტორმა სალომე ტყეშელაშვილმა.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

(ბ) ნინო ლაშქარაშვილის და არჩილ ჭავჭავანიძის განცხადებებს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო ლაშქარაშვილის და არჩილ ჭავჭავანიძის განცხადებები და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

(გ) ადვოკატ კოკი კობახიძის განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ კოკი კობახიძეს დავალიანებით შეუჩერდა უფლებამოსილება აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით.

განმცხადებელი ითხოვდა, რომ საწევრო დავალიანების გადახდის შესაძლებლობა მისცემოდა წევრობის აღდგენის დროს და ადმინისტრაციული წარმოების შედეგად არ შეწყვეტოდა უფლებამოსილება.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: კოვი კობახიძის საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადების განხილვა გადაიდოს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოსაზრებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდგომ.**

(დ) ბაკურ ჩიქოვანის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა ადაპტაციის პროგრამის საფასურის დარჩენილი ნაწილისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 14.4 მუხლით განსაზღვრულია თეორიული ნაწილის საფასურისგან გათავისუფლების წინაპირობები.

ბაკურ ჩიქოვანის მიერ წარმოდგენილი განცხადება ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს, შესაბამისად აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ბაკურ ჩიქოვანის განცხადება.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობის გამო არ დაკმაყოფილდეს ბაკურ ჩიქოვანის განცხადება.**

(ე) ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებული „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმას“.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა“, რომელიც მიმართული სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებაზე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას, მოიწონეს აღნიშნული და ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება გეგმის ფართო საზოგადოებრივი განხილვის თაობაზე, მათ შორის რეგიონის ადვოკატების მონაწილეობით.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

**დავით ასათიანი**

**თავმჯდომარე**